თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. თელავი 2022 წლის 10 ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის უხუცესი წევრი **ნიკოლოზ მაისურაძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი, დავით ღაღანიძე, ზაზა ტატულიშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ივანე კირვალიძე, მამუკა ბურდიაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილე **გიგი გიგიტელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **გივი ლაფაური, რუსუდან იმერლიშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ლევან კოჭლოშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი,** მოქალაქეები: **მაკა მოსიაშვილი, ნინო ფეიქრიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის № 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს: ნ. მაისურაძე

მოისმინეს: **1.** თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის № 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **ნათია ვაყელიშვილმა** დამსწრეთ გააცნო იმ ცვლილების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია მერიის მიერ ინიცირებული პროექტით.

პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად. ახალგაზრდული და საგანმანათლებლო მიმართულებით თანხების მობილიზებაში.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება.

კომისიის უხუცესი წევრი ნიკოლოზ მაისურაძე